

მწყამისი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვის დასლდის ცხოვართათვის. იოან. 10—11.
შოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სინარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.
მოველით ჩემდა ყოველნი მამურადნი და ტვირთ-მძიმენი და მე განვისვენეთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 5

1883—1900

15 მარტი

შ ი ნ ა ა რ ს ი:


საღმრთაბატონო განყოფილება: საბლაღოჩინო ნაზრების დაყოფა იმერეთის ეპარქიაში, დეკ. დ. ლაშაშ-ძისა. —წერილი ყაზანიდან. დრ. ჩრ-სა.—ჩემი თვეგდასაყალი.—პროფესორი თარსნივილი.—აზნაუგს, ლესი, გუბა ჩი—სა. —† მღვდელი ნიკოლოზ წერეთელი, 3. ხაზ—სა.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მაცნეობა ძრისტიანობრივ სარწმუნო. და **კითხვა-ჯინობა:** სიტყვა, თქმული 17 თებერვალს, შო მღვდლის მონასტერში, ეპისკოპოსის ლეონიდის მიერ.—სიტყვა, თქმული 20 თებერვალს ქუთაისის საკრებულო ტაძარში დეკ. რ. გიგურის მიერ.—სიტყვა, თქმული მღვდ. იოსებ წერეთლისაგან განსვენებულის მღვდლის ნიკოლოზ წერეთლის დასაფლავების დროს.—საუბარი მესამე—მედღურობა და სიამარტავენუგ —შეწირულებანი განცხადება.

საბლაღოჩინო მარჯობის დაყოფა იმერეთის ეპარქიაში.



მერეთის სამღვდელოების დეპუტატთა ერთ-ერთ კრებაზე რამდენიმე დეპუტატებმა განაცხადეს, რომ ზოგიერთ საბლაღოჩინო მარჯობებში ბევრი ტკატებია და საბლაღოჩინო კრების შედგენა და ბლაღოჩინებთან მისვლა სახელოდ გვიჩვენებო. სამღვდელოების კრებამ ყურნალოთ სთხოვა ყოვლად სამღვდელოს ამისთანა ვრცელი საბლაღოჩინო მარჯობის ორად გაყოფა. ყოვლად სამღვდე-





ლომ შეიწერა ეს თხოვნა, მაგრამ არა მარტო ვრცელი საბლადოჩინოების შესახებ, არამედ ეველა საბლადოჩინოებისა. საბლადოჩინოების დაყოფა უნდა მომხდარიყო ეველკან ერთსა და იმავე დროს, მაგრამ ეს დაყოფა მოხდა მხოლოდ მთელს შორაზნის მასწამი და ქუთაისის რამდენიმე საბლადოჩინოში, და ამ ადგილებსედაც არა ერთს დროს.

სასურველია, რომ ეს საბლადოჩინოების დაყოფა, თუ ასე საჭიროა, მოხდეს ეველკან, რათა ჯამაგირების მიღების საქმე არ ბრკოლდებოდეს თავის დროზედ ცნობების წარუდგენელობის გამო, როგორც ეს მოხდა ამ წელში. კრედიტი ძვედლებისაგან ჯამაგირის მიღებაზედ ეახსნა მხოლოდ მარტში.

სახოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ბლადოჩინების ინსტრუქცია ძლიერ დაძველებულად უნდა ჩაითვალოს დღევანდელი დროის მოთხოვნილებასთან. და სწორედ საჭიროა დღევანდელი მოთხოვნილებას-დაკვარად საბლადოჩინოების საქმეების წარმოებაც, ბლადოჩინების კანცელარების მდგომარეობაც და ბლადოჩინების მოვალეობაც უმჯობესად და უფრო გაკებით იყოს გამოკვეთული მათდამი რწმუნებულ სამღვდლოებათა საკეთილდღეოდ.

დკვ. დ. ღამბაშიძე.



წერილი ჟაზანიდას

11 თებერვალი. ასე საღამოს ექვსი თუ შვიდი ჟამი იქნებოდა, როდესაც ყაზანის სასულიერო აკადემიის ეკლესიაში ათამდე ქართველმა ახალ-გაზღამ შეიყარა თავი. სახეზე ყველას ცნობის-მოყვარეობა და ზოგიერთს რაღაც გაურკვეველი მღვდლვარება ეხატებოდა: ამ დღეს ბერათ უნდა აღევყვათ ერთი ქართველ სტუდენტთაგანი, მღვდელი ბესარიონ ხელიაია.

როგორც. პატივცემულ „მწვემისს“ მკითხველებს ენახოვრებათ, მ. ხელიაია ამ სამი წლის წინათ (1897 წ.) ყაზანის სასულიერო აკადემიაში შემოვიდა. თუ არ ვცდებით, ქართველი სამღვდლოებაში ეს პირველი მაგალითი იყო იმისი, რომ მღვდლათ ნამსახურ სემინარიელს კიდევ შერჩენოდეს სწავლის ხალისი და უმაღლესი საღვთისმეტყველო განათლება გავგრძელებიოს. ამისთვის, მგონია, ურიგო არ იქნება ცოტა ხანს მ. ბესარიონის ცხოვრებაზე შეგჩერდეთ.—

მ. ბესარიონ ძოსიმეს ძე ხელიაია, ჩამომაველობით მეგრელი, ერთი სოფლის მღვდლის შვილია. იგი დაიბადა 1863 წელს, პირველ დაწყებით სწავლა სენაკის სასულიერო სასწავლებელში მიიღო; 1885 წელს თბილისის სასულიერო სემინარია გაათავა სტუდენტის ხარისხით და 1887 წელს ეკურთხა მღვდლათ ჰოსად სოჩაში. ხუთი წლის შემდეგ (1892) იგი სოხუმის საკათედრო ტაძრის მღვდლათ გადაიყვანეს, სადაც 1893 წლის 1-ელ აგვისტომდე ასრულებდა, აგრეთვე, სოხუმის პირველი ბლალოჩინის თანამდებობას. ამ წელშივე დაინიშნა მწვერათ და ხაზინადრათ სოხუმის ეპარქიის ღარიბ სამღვდლოთათვის მზრუნველ კომიტეტისა (попечительство о бедныхъ духовнаго звания) და მიიღო საკრებულო ტაძრის კანდელაკობა. 1894 წელს სოხუმის „მთიულთა შკოლაში“ (Горская школа) საღმრთო-სჯულის მასწავლებლათ გაემწესა და დაინიშნა წვერათ და საქმის მწარმოებლათ სოხუმის საეპარქიო მშობის და სამოსწავლო რჩევისა, ხოლო ამავე წლის 26 აგვისტოს მას გადაეცა მეთვალყურობა სოხუმის, ახალ-ათონის და ლიხინის სამრევლო

შკოლებისა.—ამასთანავე 1892 წლიდამ იგი ითვლებოდა სოხუმის ეპარქიის საეკლესიო—საარხეოლოგია კომისიის წამდვილ მწვერათ და ხაზინდართ. მაგრამ 1893 წელს უღმობელმა სიკვდილმა მას მწარე მსხვერპლი მოთხოვა, მეუღლე მოსტაცა და მით საბოლოოთ გადაწყვიტა მისი მომავალი ბედობალი: 1897 წელს 15 ნოემბერს იგი უკვე თავს ანებებს სამსახურს და აკადემიაში მიემგზავრება სწავლის გასაგრძობათ.



მიიწურა “ცისკარი,” იგალობეს “დიდება-მალათანი” და აღსავლის კარებში გამოჩნდა რექტორი სასულიერო აკადემიისა, ყოვლად უსამღვდელოესი ანტონი. ამავე დროს ეკლესიის უკანა კარებიდან დაიძრა შავით მოსილი სამღვდელოების მწკრივი კრება: მას თან მოჰყავდა ორი საბეროთ წამზადილი სტუდენტი, რომელთაგან ერთი იყო მ. ბესარიონ ხელაია... უკანასკნელათ შეივედრა იგი ღმერთს ყოვლად-სამღვდელომ „ბესარიონის“ სახელით, აიღო ხელში მაგრატელი და ამის მერე „ბესარიონი“ აღარავის ვაუგონია: მას უწოდეს აშბრასი.


„პირველი ჟამის“ განტევიების შემდეგ ყოვლად სამღვდელომ ახალ-აღკვეცილთ მოკლე სიტყვით მამართა, რომელშიაც გამოხატა ის აზრი, რომ საბერო სათნოებთა შორის სიმდაბლე (смиреноумие) ყველაზე უფრო მაღალი და ძნელი სათნოება არისო. „იგოა—სთქვა ყოვლად-სამღვდელომ—შველის კაცს მოთმინებით აიტანოს ყოველ-გვარი გაპირვება, ყოველ-გვარი განსაცდელი და სულით არ დაეცესო; ქმშპირიტის სიმდაბლით აღტურვილი მოძღვარი თვით გულქვა და ამპარტავან აღამიანებზედაც კი ძლიერს ზნეობრივ ვაუღენას იქონიებს ხოლმე: გულს უღობოს და მუხლს აღრეციებსო; უკანასკნელ, სიმდაბლის მქონე კაცი იმითია კიდევ ძლიერი, რომ მას თვით სიკვდილის მოახლოვებაც ვერ შეაშფოთებს, იმ სიკვდილისა, რომლის წინაც ასე ხშირათ თრთიან ხოლმე თვით უძლველი და გულ-მაგარი გმირებია. ასეთია სიმდაბლის უღარესობა, მაგრამ რამდენადაც ძლიერია იგი, იმდენათ უფრო ძნელია მისი მოპოვება; განსაკუთრებით ძლიერ უჭირსთ ეს ახალ-გაზღვებს და გამოუცდელ ზერებს; მაგრამ თქვენ ამ მხრით უფრო კარგ პირობებში ხართ: თქვენ აქ მოხველით უკვე გამოცდილი და ცხოვრებაში ნამ-

ყოფი; და თვით ის ღვთის განგებით მოვლენილი შემთხვევა, რომელმაც თქვენ ხორციელთ დაგაოზლათ*) და თქვენი მგრმისი გიჩვენათ, სხვა რა იყო თუ არა ერთი უძლიერეს „მასწავლებელთაგანი“ სიმდაბლისა და მოთმინების! ვთხოვ უფალსა და გისურვებთ, რომ თქვენში კიდევ უფრო გაძლიერებულიყოს ეს ძვირფასი განძი ქრისტიანულ სიმდაბლის და მოთმინებისო!“

ამის შემდეგ ყოვლად-სამღვდელომ ახლათ აღკვეცილი სადგომ ოთახამდე მიაცილა, სადაც გადაცა მათ სახსოვრათ მაცხოვრის ხატები.

ვისურვებთ, რომ ჩვენ მკერვ ახალ-გაზდა მღვდლებსაც მ. ბესარიონის მაგალითისთვის წაებამოსთ, რადგან უმადლესი განათლებით აღტურვილი ბერების საქუროება დღეს ჩვენში ცხადზე უცხადესია!

დროებით ჩრდილოელი.



ჩემი თავ-გადასახალი.

გაგრძელება 1)

ბევრს ვხევეწებოდი ჩემს მშობლებს, რომ მათ ქუთაისის სკოლაში წაეყვანე; სხვებიც ეუბნებოდნენ მათ: შევლიეთ ერთ შეილს, თუ გინდ იგი მოგიკედეს, სხვა შეილებიც ბევრი გყავსთ და არა გიშეთარაო. მაგრამ მამა ჩემი მაინც ვერ ბედავდა ჩემს სასწავლებელში მიცემას, მე კი დრო მიმიღიაო.

1852 წ. მშობლებმა წამიყვანეს სოფ. წევას, სადაც 15 ივლისს კვირიკობას დღესასწაულობენ დიდის ამბით. ამ სოფელში ამ დღეს სავაჭრო დუქნები არის გამართული და ვაჭრობა, იარმარკობა გარძიდება სამი დღე. აქ ენახე ბევრი ხალხი და ხალხში, სხვათა შორის, ქუთაისის სასულ. სასწავლებლის ზოგიერთი მოსწავლენი. ამ მოსწავლეთ ძლიერ შურის თვალით შევცქეროდი და მსურდა მათ ამხანაგად გახდომა, მაგრამ მარტო სურვილით რას ვიხამდი!..

*) ასლად აღკვეტილია ორივე მკერვივეთა არან.
*) ის. „მწეშისა“ 1900 წ. № 1—2.

ამ წელიწადში, ივლისის თვეში მოხდა მზის სრული დაბნელება საღამოზე, ასე ხუთი თუ 7 საათი იქნებოდა, რაღაც შავი გადაყრა მზეს და სრულიად დაბნელდა. შეიქნა სოფელში ერთი უმეცლესი კვირილი და ყრამული ბავშვებისა. ყველამ თავის სახლს მიაშურა. მეც მოშორებული ვიყავი სახლს და როგორც დაბინდდა, გავექანე სახლისკენ. მივეუახლოვდი თუ არა სახლს, მზემ ჩვეულებრივად გაანათა. ხალხი ვაღარა იმ უბედურებას, რომელსაც უკოდინარობით ბევრი მოვლოდა: არც ქვეყანა დატყუვდა და არც გველას წვიმის მოსულა... ცოტა ხნის შემდეგ გავრცელდა ხმა, რომ დაბინდების დროს ქათმები მოაწამლენ და დახოცეთ, თორემ ხაშიან გველებს დაპყრიან და ეს გველები ხალხს ამოწყვეტენო. ქათმის ხორცს ნუ სჭამთო. ყველა უკვირდებოდა ქათმებს, მართლა გველები არ წამოადგონ პირიდანო. განსვენებულმა მამა ჩემმა დააკვლევინა ოთხი-ხუთი კარგი მსუქანი დედალი, სიფრთხილით გააქრევინა იგინი, გამჭრელს ხელები შეხვეული ჰქონდა ხელსახოცი და ქათმის შიგნეულს შინჯავდენ, შოგ გველის წიწილები ხომ არ არისო. მართლა, რაღაცა ბატარა ძაფებივით გამბულღები ნახეს აქა-იქ და სთქვეს: სწორეთ ესენი ვადაიქცვიან ველებათო და ყველა დაკლული ქათმები გადაადგებინა და დაამარხეთა მიწაში, მე მყავდა ერთი უფროსი ძმა, რომელსაც არა სწამდა ეს ხმები და გადასადგებ დედლებს ზოგს ხარშავდა და ზოგს სწავდა და გუნებინარად მიირთმევდა, მაგრამ მას არაფერი არა სტყენიარა. დაღამების შემდეგ ერთი წელიწადი და ორიც სულ ამისთანა უბრალო შიშში იყო მთელი ხალხი. ვადაგრჩით მზის დაბნელებას, გველების გამარავლებას და ხალხის გადაშენებას. ბოლოს 1854 წელში, ჩემდა საუბედუროდ, რუს-ოსმალის ომი გამოცხადდა. თავდაპირველად ომი მიდიოდა თავის წესზედ, ჩვენს სოფელში, თითქმის, არც არაინ იცოდა ეს ომიანობა. ზოგი ამბობდა: ომი მალე გათავდება და, რასაკვირველია, რუსეთი აჯობებს თათრებსო...

1855 წელში ერთმა ჩვენს სოფლის მღვდლის შვილმა, უბრალო ერის კაცად მყოფმა, განიზრახა თავის შვილის წყაყანა ქუთაისში და სასწავლებელში მიცემა. ესლა კი განსვენებულმა მამა ჩემმაკ მოინდომა ჩემი წყაყანა და ერთად გადაწყვიტეს ავგის-ტოს დაძლევს წასულიყვნენ და ერთად წავყავნეთ

ორივე ბავში სასწავლებელში. მოამზადეს საგზალო, გამოვებოხეთ ოჯახობას და დაბარგული ცხენებით გავემზავრეთ ქუთაისისკენ. მეორე დღეს გზაში შეგვვლით ქუთაისიდან მომავალ ჩვენს დიდ ბლალოჩინს, რომელსაც თავისი შვილის-შვილი გამოეყენა სასწავლებლიდან და სახლში მოჰყავდა. მოკიხვის შემდეგ მამა ჩემმა გამოჰკითხა ბლალოჩინი მიზეზი ბავშვის სასწავლებლიდან გამოყენებისა და მერე უთხრა თავისი სურვილი ჩემი კლასში შეყვანის შესახებ.

— არ გირჩევ, მამაო ბ—ონ, ბძინა ბლალოჩინმა, ბავშვის კლასში შეყვანას. მიღეთი ბაღლებია სასწავლებელში, თუ ისინი გამოიზარდენ, ვერაფერ ადგის ველარ იშოვის კაცი. სჯობს სანამდის ისინი გამოვიდოდენ, ამ ჩემს შვილის შვილს ადგილი ვუშოვო სადმე მღვდლობის. ჩემთვის მინც ანგარიში არ იყო მისი სასწავლებელში ღარჩენისა, ქალს აძლევენ მამულიანს და დიდ მზითვეს...

— თქვენ, ბატონო, რასაკვირველია კარგად მოუხერხებთ მაგას საქმეს, მიუგო მამა ჩემმა ბლალოჩინს, მაგრამ ჩვენ რა შევიცილია? თუ არაფერი ვასწავლეთ, უბედურად დარჩებოან. ჩავლთ მინც ქუთაისში, შეიძლება არც კი მიიღონ, ცოტა დიდა, დრო ვადასულია. მაგრამ ტყუილა არ გამოჩერებია, შინ საღმრთო წერილი და საეკლესიო წიგნები შევასწავლე კარგად.

ამ სიტყვების შემდეგ გამოემშვიდობენ ერთმანეთს და ჩვენ გავემზავრეთ ქუთაისისკენ და ისინი სახლისკენ. ჩვენმა მოგზაურმა, ჩემი ამხანაგის მამამ ერთი ჩაიყენა და უთხრა მამა ჩემს:

— ბე—ონ! ნახვე შენ, თუ ჩვენს შვილები ამ ბლალოჩინის შვილების ბლალოჩინად არ იქმნენ. რა დროს სასწავლებლიდან გამოეყენა არის ესლა მისი? მოსწავლე სამი-ოთხი წ. ქუთაისშია, ვერაფერი ვერ ისწავლა და ალბად გამოუგდით, თორემ თვითონ არ გამოეყენდა.

— როგორი ლაპარაკია, კაცო, უთხრა მამა ჩემმა, რა დროს მაგის ფიქრია, ღმერთს ნუ აწყენინებ, ისწავლონ და ბლალოჩინობა რომ ვერ იშოვონ, ისე კი ვერ იტხოვრებენ!..

მეორე დღეს მივეუახლოვდი ქუთაისს, მაგრამ არ შეგესულვართ ქალაქში. დამე მიღორში დავდე. ქით და დილაზე კი ადრე შევედით. პირდაპირ მიგვიყვანეს ერთ ნაცნობ ოჯახში. მიუბრუნდნენ მშობ-



ლები ჩვენს სარჩოს თვეში სამ მანეთად და ორ ჩახდენილ და ისე რასაც ჩამოგვიტანდნენ, ის ჩვენი მშობლების სურვილზე იყო დამოკიდებული. ამნაირად დავბინადეთ ერთ მთავარ-დიაკონ ან. ბეძესთან.

დღის 9 ს. წაგვიყვანეს ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლის უფროსთან, რომელსაც მივართეთ ერთი ცხრა პური, ერთი მთხარაშული დედალი და ერთი დოქი ღვინო. მამა ჩემი პატრიის ცემით მიიღო და ბრძანა ჩემი მიღება კლასში. თუმცა კლასში ბევრი ყოფილიყვნენ მიღებულნი, მაგრამ უარი აღარ გვითხრეს, ერთი რუსული ანბანი კიდევ ნაჩუქა და პირდაპირ გამგზავნა კლასში. ჩემი ახანაურ კი მეორე დღეს მიიღეს. მე შემოყვანეს 1-ლ კლასში და, რადგან ადგილი არ იყო დასაჯდომი, ბუხრის პირზე დამაჯინეს. მასწავლებლად იყო მღვდელი. როგორც დავინახე მღვდელი, მე მაშინვე მივედი და ხელზე ვემთხვიე; ეს ხელზე მთხვევა მღვდელმაც რაღაც იჩოთირა და შაგირდებმა ხომ საცინად ამიგდეს. მე გაშტერებით ვუყურებდი ყველას. ერთი მოსწავლე მასწავლებელს მაგიდასთან უდგა და რაღაცასთვის გაჩერებული იყო. ამ მოსწავლეს მასწავლებლისთვის დედისაგან მოწერილი წერილი მიეტანა და იმის პასუხს უკვდიდა. მასწავლებელმა წაიკითხა თუ არა ეს ბარათი, დაიძახა: როზე! გამოვარდა ოთხი მოზრდილი მოსწავლე. ერთს ბროწეულის გრძელი მხოლარების კონა ეჭირა ხელში.

— დააწვინეთ! ჩახადეთ ნიფხავი და გაროზეგეთ, დაიძახა მასწავლებელმა. სტაცეს ხელი, ჩააძვრეს პერანგის ამხანაგი, დააწვინეს ჩემ წინ, დააწვა ორი თავზე და ორი ფეხებზე და მესუთემ დაუწყაო როზგის რტყმევა ტიტველ სხეულზე. რა ადგილსაც ხედებოდა ბროწეულის გრძელი მხოლარები, უთუოდ სისხლი ამოტეხდა. იყვირა ბავშვა უშველებელის ხმით, მაგრამ როზეგს უფრო მთვრად ურტყამდნენ ბრძანებისამებრ. თუთხმეტჯერ თუ ოცჯერ დაჰკრეს როზეგი. გიუჭირდა საწყაოდ მოსწავლეს საქმე და როგორც შადრევანი ისე ამოუშვა გ...ლი, წაუვიდა შარდიც და მთლად აგვაყროლა. ამ სურათმა ნამეტანი ცუდი შთაბეჭდილება იქონია ჩემზე, შევწყლდი და ბოლოს პირი წამადებინა ამ ცუდი სუნის და სისხლის დანახვისათანავე. ბავშვი გაიყვანეს გარეთ, მოწმინდეს ადგილი, ამ დროს კიდევც დარეკეს

და მისწავლებელი გამოვიდა გარეთ. ასე გათავდა პირველი გაკვეთილი. მასწავლებელი გამოვიდა თუ არა გარეთ, შეიქნა ბავშვების ისეთი ზრიალი და ყვირილი, რომლის მსგავსი ჩემს თვალს არა უნახავს რა და ყურს არა სმენია. მომერდნენ პატარა შაგირდები და დამიწყეს მასხრობა: კაცო, რა დროს შენი სწავლა არის, აგერ ულვაშები ამოგვიანო! ერთი მეკითხებოდა, შენს ცოლს რა ჰქვია, მეორე მეკითხავდა: ბავშვები ვის დაუტოვეო, მესამე ბაბუას მეძახდა. მე თვითონ ვგრძნობდი, რომ 14—15 წ. ვიყავი და რვა წლის ბავშვებთან დიდი ფეხავი და ამას გარდა ისედაც დიდი ტანი მქონდა.

შემოვიდა მასწავლებელი. ყველანი გაისულდნენ. მომიბრუნდა მე და მკითხა:

— რომელი ჯოგისა ხარ? ამ კითხვაზე გავჩერდი, პასუხი ვერ მივეცი.

— სადიდან ხარ, მკითხა კიდევ, ზემოური ხარ, თუ ქვემოური?

— ზემოური ვახლავარ, მოვახსენე მე.

— ჭურჭლებს რომ აკეთებენ, იქიდან ხარ?


— იქიდან ვახლავარ, მოვახსენე მე.

— რუსული და მხედრული კითხვა არ იცი? მკითხა მან.

— რუსული და მხედრული არ ვიცი, ბატონო, მოვახსენე, ხუცული კი ვიცი კარგად.

გამომართვა რუსული ანბანი და მიმითითა ასოებზე ხელი და მითხრა, ეს ერთი სტრიქონი დაისწავლე ხელისთვის.

ასე გათავდა ეს დღე, მაგრამ ვაი ამ გათვებას! საშიშარი სურათი ვნახე და პირველად კლასში გავიგონე ლანძღვა-გინების სიტყვები.



პროფესორი თარხნიშვილი

(ყუნალ-გაზეთებიდან)

3 მარტს 30 წელიწადი შესრულდა, რაც ჩვენი თანამემამულე პროფესორი და აკადემიკოსი ი. რ. თარხნიშვილი სამეცნიერო, საპედაგოგო და სალიტერატურო ასპარეზზედ მოღვაწეობს. ვაზ. „Съверный Кургенъ“-ი: ამის გამო აი რასა სწერს.

„აკადემიკოსი თარხნიშვილი, შთამომავლობით

ქართველი, გენერალ-ლეიტენანტის შვილი, დაიბადა 15 ივნისს, 1846 წელს. პირველ-დასაწყისი განათლება სახლში მიიღო, მხოლოდ ერთი წელიწადი ტფილისის გიმნაზიაში დაჰყო და შემდეგ 1863 წ. პეტერბურგის გიმნაზიაში შევიდა საბუნების მეტყველო ფაკულტეტზედ; მეორე წელიწადს სამხედრო სამკურნალო აკადემიაში გადავიდა, სადაც 1869 წელს დაამთავრა სწავლა. სამის წლით თავ. თარხნიშვილი აკადემიაში დასტოვეს საპრაფესოროდ მოსამზადებლად, ხოლო ამ ხნის შემდეგ აკადემიის კონფერენციამ საზღვარ-გარეთ ვაჰგზავნა, რათა თავის სპეციალურ საგანს ფიზიოლოგიაში უფრო უკეთ მომზადებულიყო. საზღვარ-გარეთ ნიჟიერმა ახალ-გაზრდამ სამი წელიწადი დაჰყო: ჯერ სტრასბურგის უნივერსიტეტში, შემდეგ პარიზის სხვა-და-სხვა უმაღლეს სასწავლებლებში. იქ თარხნიშვილი მეტადინფობდა შემდეგის მეცნიერების ხელ-მძღვანელობითა: კაპპე-ზეილერისა, გოლცისა, რეკლინგაუზენისა, ვალდერეისა, კლოდ-ბერნარისა, შარკოსი, რანვიესი და სხვათა. საზღვარ გარეთ ყოფნის დროს თარხნიშვილმა ნემენცურსა და ფრანგულს ჟურნალებში 14 სამეცნიერო თხზულება დაჰბეჭდა.

„ღაბრუნების შემდეგ 1875 წელს თავ. თარხნიშვილი დანიშნულ იქნა აკადემიაში პრივატ-დოცენტად, რამდენსამე ხნის შემდეგ დამტკიცებულ იქნა ფიზიოლოგიის ორდინარ პროფესორად. ამ თანამდებობაში 1895 წლამდე დარჩა. შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს. 1892 წელს თარხნიშვილს ებოძა აკადემიკოსის წოდება.“

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს სამეცნიერო მოღვაწეობას პროფესორისა, იმის მიერ შედგენილ, გადმოთარგმნილ და იმის რედაქტორობით გამოცემულ თხზულებებს და დასასრულ ამბობს:

„თავ. ი. რ. თარხნიშვილი პეტერბურგელთა უსაყვარლესი ლექტორია. უნივერსიტეტში იმისი აუდიტორია ყველა ფაკულტეტის სტუდენტებით არის ხოლმე ვატენილი, ხოლო „სოლიდანი გოროდკოში“, სადაც ეს ორი წელიწადი ფიზიოლოგიისა და ჰიგინის ლექციებსა ჰკითხულობს, აუარებელი საზოგადოება იყრის თავს იმის ლექციების მოსასმენად. თარხნიშვილი ყველასათვის ადვილ-გასაგებენით კითხულობს ლექციებს და მეტად ცოცხლად გადასცემს ხოლმე მამენციებს მეცნიერების რთულ

სწავლა-მოდლებს და იმიტომ ესწრება ყოველთვის აუარებელი ხალხი იმის ლექციებს.“

მეორე გაზეთი „Виж. Вѣд“. სწერს, რომ თავ. ი. რ. თარხნიშვილმა მრავალის თხზულებით გაამდიდრა სამეცნიერო ლიტერატურაო. იმის რედაქტორობით გამოცემულ იქნა 150 თხზულებამდე იმისავე რედაქტორობით გადმოთარგმნილ და დაბეჭდილ იქნა ისეთის მეცნიერების პროზანი, როგორიც არიან კლოდ-დებერნარი, პრივერი, რანვიე, ვილარი, ევალდი, ფოსტერი და სხვანი. თარხნიშვილის მრავალი მოსწავლე ამ ემად პროფესორად არის, ზოგი აქ რუსეთის უნივერსიტეტში, ზოგიც საზღვარ-გარეთ. ყველა ამის გარდა აკადემიკოსი თარხნიშვილი მრავალ ნიჟიერად დაწერილ წერილებს ბეჭდვდა სხვა-და-სხვა ჟურნალ-გაზეთებში. *)



ა მ ს ა ნ ა მ ს .

მინდა შენ გითხრა, ძმობილო, მე სავალალო დარღები, აგებ მით შევიმსუბუქოვ სეცდა, გულში ნადები.

ნათქვამი არის, რომ ქმუნვა წარმოთქმით განიკურნისო. მისთვის მოგმართავ, მგრძობი ხარ ჩემგან ქვემოთ თქმულისო:

დიდი ხანია მას შემდეგ ვერ ვხედავ, ვერ მიპოვნია —

*) როგორც ამბობენ, ერთ-ერთ რუსეთის თავდასხინა ზნაფეისონს ბ. ს.—ს, როდესაც უთხრეს თურმე ბ. თარხნიშვილი სანროფეისონად მამსადებას აზარებსო, ძაღან განკვირებულად და ეთქვა: განს შეუძლია აზიეფის ტვანის მსამდე მიღწევას?... სხვათა შორის, როგორც დასძინენ, ამ სიტყვებს უფრო გაეწევაგება ბ. თარხნიშვილისათვის სურვადი მეცნიერული მუშაობისა და მან დასრულდაც ასწრულა თავისი დაქადაგება. ბ. ს.—ვისე მოტეუვდა თავისი მასზრებაში, როგორც მრავალნი სტუევაგებაან... დღეს უნსკოთის ლიტერატურაში, როგორც ამბობენ ზოგაერთეობა, ზნაფე. ს.—ვის სსქელი რამ ერთჯად არის მოსსენკუელი, ზნაფე. თარხნიშვილის სსქელი სუთჯად და ათჯად იხსენება...

რედაქტ.



ჩვენთვის ჯვარცმულის სიტყვები—
მამა-პაპათა ღონეა.

არ მიღირსებია მით შევბა
დამატკობელი გულისა,
იმედი მაკურნებელი,
მომეფენი სიხარულისა!

სად არის მცნება მაცხოვრის
კაცთათვის დაწესებული,
სად არის მისი სიტყვები—
სახელმძღვანელოდ მცნებული.

სად არის: „ვიყვარებოდეთ
ერთის თვისებით, ძმობითა!“
სად არის: „ადვიარებდეთ
ჰემშარიტებას გრძნობითა“.

ეხლა ხომ ცხოველ აზრების
ნაცვლად მტრობა და შურია;
ალარც გატანა, ერთობა,
ძმობა და სიყვარულია.

მის წილ სუფევან ძულილი
ის ეშმაკური, კრულია,—
ერთისა ვნება გულმწვავი—
მეორის სიხარულია.

სად არის მამა-პაპური
მხნე და თვისება სვეული,
სად არის მისი ნაყოფი—
სისხლ-ხორცი მშობლის სეული!

აი, ძმობილო, ეს არის
ის სავალალო დარდები,
ეს არის სევდა უკურნო
ჩემს გულში მწარედ ნადები.

მაგრამ, ვილოცოთ, ძმობილო,
ვითხოვოთ განკურნებანი,—
ძველსა წელს, ძველს საუკუნეს
თან გავატანოთ ვნებანი.

რომ ძველის მიმდინარებით
ახალში ეზოვით შევბანი,—
სიყვარულს გული მოვგოს
და სათვისტომო რგებანი.

თ-დი როსტომი—გუბა ჩიქოანი.

† მღვ. ნიკოლოზ წარმთელი.

წარსული წლის 31 დეკემბერს, ნაშუადღევს
3 ს., გარდაიცვალა გუნდაეთის წმ. გიორგის ეკ-
ლესიის მღვდელი ნიკოლოზ წერეთელი, შობიდან
70 წლისა. განსვენებული დასაფლავეს 8 იანვარს
ამა 1900 წ. ითხვისის იოანნე ნათლის-მკემლის
ეკლესიის სასაფლაოზე.

ჯერ არ ყოფილა მაგალითი ამ 40—50 წლის
განმავლობაში საწერეთლოში, რომ ამოდენა აუა-
რებელ ხალხს, ყოველი წოდებისა და წრისას თავი
მოეყაროს ვისიმე განსვენების დასასწრებლად, რო-
გორც ეს მოხდა მ. ნიკოლოზის განსვენებაზე. და-
საფლავების ღღეს მშვენიერი ტაროსი იდგა. გა-
თენდა თუ არა, ხალხმა იწყა დენა: სამღვდლოება
რიგ-რიგობით პანაშვიდს იხილდა, ხოლო ხალხი
თაყვანს სცემდა მიცვალბულს და ხელზე ეამბორე-
ბოდა. ყველას ეტყობოდა დიდი მწუხარება და
ვაება. 12 საათზე წესი აუგო მიცვალბულს ჯრუჭის
მონასტრის არქიმანდრიტმა 40 მღვდლის თანამსა-
ხურებით. წესის აგების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა
მღ. მ. ი. წერეთელმა. ნაშუადღევს 4 ს. გაასვენეს
მიცვალბულის გვამი. გასვენების დროს ხალხი
იხვეწუწოდა მიცვალბულისა და მიცვალბულის წასვენე-
ბისა, მაგრამ სამღვდლოებამ უარი სთქვა. ყველას
უნდოდა, რომ უკანასკნელი პატივი ეცა მამა ნი-
კოლოზისათვის.

რითი დაიმსახურა სოფლის უსწავლელმა მღვ-
დელმა ხალხის ასეთი პატივი და თანაგრძნობა?
მტკიცე სარწმუნოებითა, სასოებითა, ღვთისა და
მოყვების სიყვარულითა, მტკიცე და შეურყეველი
ხსიათითა და სიმარტოლის მოყვარობითა. ჩემთან
ერთად თათს და მეტი პირი დამოწმებს, რომ მ.
ნიკოლოზი თავის ცხოვრებას ისე ატარებდა, რო-
გორც ეკადრება ნამდვილ მწყემსს და მალა ეკირა
ზნეობის დროში. მოუკლებლად ილოცებდითო,
ბრძანებს მოციქული, მ. ნიკოლოზი სწორედ უნა-
კლულოდ ასრულებდა ყოველ ეკლესიურ ტიბი-
კონს, როგორც ოდესმე წმ. და საღვთო მამები.
იგი მშობლიურ ენაზე იყო აღზრდილი ჯრუჭის
მონასტერში, სადაც აღზარდნენ განსვენებულნი
იმერთის მიტროპოლიტი დავითი, ითხვისის დეკან.
დავითი და საჩხერის მთაწმიანი მღვ. ოქროპირ წე-
რეთლები და სხვა შესანიშნავი, წარსული დროის,
მწიგნობარნი და მგალობელნი. თუცა მ. ნიკოლოზი
წვრილი შეიღებით იყო დატვირთული, მაგრამ არ

იგიწყება კუტთა, საპყართა, სნეულთა, ღარიბ-
 დატატთა და ყოველთვის მზათ იყო შემწეობის ხელი
 გაეწვდინა გაპირებულთათვის. იგი პატივცემული
 იყო არა მარტო ხალხისაგან, არამედ მართებლო-
 ბისაგანაც. იცოდა-რა მისი მაღალი ზნეობა და
 კაცთ-მოყვარეობა განსვ. იმერ. ეპისკ. გაბრიელმა
 უბოძა მას ბედნიეკი, სკუფია, კამილაკა, და მკერ-
 დის ჯვარი და, როდესაც ზემოთ მობრძანდებოდა,
 ყოველთვის ეწვეოდა მ. ნიკოლოზს ოჯახში და მა-
 შავილოურის სიყვარულით პატივს სცემდა. მ. ნიკო-
 ლოზი თითქმის 50 წ. ემსახურა წმ. ეკკლესიის სი-
 წმიდით, სიმშვიდით და პატიოსნებით და დაინსახურა
 „მართალი და პატიოსანი მწყემსის“ სახელი. ნეტარ
 არს ხსენება შენი ჩვენ შორის, მამაო ნიკოლოზ!

შეღავათე ზეტრე სსსმშიდა.



ახალი ამბები და შენიშვნები.

აწ არსებულის წესით, სასოფლო სკოლების
 განსნა და შენახვა იმ ადგილებში, სადაც საერობო
 დაწესებულება არ არსებობს, შეადგენს თვით სასო-
 ფლო საზოგადოებათა მოვალეობას. ამ ჟამდ ამის
 შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროში არდგენენ
 ახალს პროექტს, რომლით იწარმოება ხსენებული
 საქმე რუსეთის განაპირა ადგილებში იმ დრომდე,
 სანამ იქ შემოდებულ იქმნებან საერობო დაწესებუ-
 ლებანი. ამ პროექტით, სასოფლო სკოლების გახ-
 სნისა და მათი შენახვის საქმე მიენდობა საგუბერნიო-
 მმართველობას; დაწესებულ იქმნება, რომ მშობლენ-
 ბი ვალდებულნი იქმნებიან გზაგონ ბავშვები სკო-
 ლებში, რომელნიც, საკიროების მიხედვით, უნდა
 იხსნებოდნენ და ინახებოდნენ ადგილობრივ საერო-
 ბო თანხის საშუალებით.

* *

წარსულ თებერვლის პირველ რიცხვებში სწო-
 რედ 75 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც
 გეორგ სტეფანსონმა პირველი რკინის გზა გამართა
 და ამ რკინის გზაზედ ორთქლ-მავალით და უხვირო
 ვაგონებით გაიარა; ამიტომ მეტი არ იქმნება გაეი-
 ხსენათ ამ ფრიად სასარგებლო საქმის მოკლე ის-
 ტორია. რკინის გზის, ან უკედ, ხის გზის გამართვის

იღვია ეკუთვნის დარლინგტონის მცხოვრებს, მი-
 დარ ვაქარს, ეღუარდ პიზს, რომელმაც 1817 წელს
 განიზრახა ქ. სტოკტონისა და დარლინგტონის შუა
 ხის რელსების გაწყობა და ამ რელსებზედ ვაგონე-
 ბით ქვა-ნახშირის ზიდვა ცხენების შემწეობით. ად-
 გილობრივი მცხოვრებნი პიზის პროექტს სიცილით
 მიეგებნენ. მაგრამ პიზი ამას არ შეუშინდა და თა-
 ვის განზრახვის განხორციელებას შეუდგა. პიზიმ
 მთავრობის წინაშე შეამდგომლობა აღძრა ასეთის
 გზის გაყვანის ნება-ართვის შესახებ. პირველად მთა-
 ვრობამ ეკვის თვლით შეხვდა პიზის პროექტს, მა-
 გრამ ბოლოს, ოთხის წლის შემდეგ ნება დართო
 ხის რელსების გადებისა. სწორედ ამ დროს პიზი
 გაიწრა გეორგ სტეფანსონმა, პირველის ორთქლ-
 მავალის გამოგონანმა. სტეფანსონს თავისს ახალი
 გამოგონებით უკვე სახელი ჰქონია გაეარდნილი.
 პიზმა იგი, როგორც მკოდნე და გამოცდილი ტეხ-
 ნიკოსი, მიიწვია ახალის გზის გასამართავად. მალე
 სტეფანსონმა დაარწმუნა პიზი, რომ ხის რელსების
 ნაცულად გაეწყუთ რკინის რელსები. პიზი დასთან-
 ხმდა და აი, 1825 წელს, თებერვლის პირველ რიც-
 ხვებში, სტეფანსონის მიერ გამოგონილმა ორთქლ-
 მავალმა ყველანი განცვიფრებაში მოიყვანა. აუარე-
 ბელი ხალხი შეიკრიბა ამ დღისთვის. ბევრს არა
 სჯეროდა, რომ ეს რაღაც ახალი მანქანა სიარულს
 მოახერხებდა; ბევრმა შემდეგაც ეკვის თვლით შე-
 ხვდა სტეფანსონის გამოგონებას; ამბობდნენ, რომ
 ორთქლ-მავალის კომლი მცენარეულობას გაანადგუ-
 რებსო, მიწის ფასს დასცემსო და სხვას. რელსები
 ათის მილის მანძილზედ იყო გადებული და ეს მან-
 ძილი პირველმა ორთქლ-მავალმა 3/4 საათში გაიარა.
 სტეფანსონისა და პიზის სიხარულს საზღვარი არა
 ჰქონდა; ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს
 რკინის გზა კაცობრიობის პროგრესს ერთი-ორად
 დააჩქარებს და, როგორც ისტორიამ გვაჩვენა, არც
 მოსტყუებდნენ. ოგოციალურად პირველ რკინის გზა-
 ზედ მატარებლების მიმოსვლა იმავე წლის 27 სექ-
 ტემბერს დაიწყო. პირველსავე დღეს რკინის გზით
 600 კაციმ ისარგებლა. ამ დღიდგან რკინის გზა
 საოცარის სისწრაფით გავრცელდა და დღეს ისეთი
 სახელმწიფოა აღარც-კია, სადაც მატარებლები არ
 დაიარებოდნენ.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საწარმოებში და ვითარებასა.

სიტყვა,

თქმულა შიო მღვინის მონასტერში 17 თებერვალს, დინსი-მამა შიო მღვინის წმ. ნაწილთა აღმსკეპების დღეს.

ითხოვე ჩვენთვის წყალობა, ჳ მამაო, კანდიკობით წინაშე მუჟიას, რომელათვისცა სული შენი უარ ჰქუე; შიოგუგუდენ, ტუბაიფო გუღათა და სიტყუათა, ტუბაიფო ფოგუღათა სსენებასა შესნ დღეს (ვეფ. სუთშ. ცისე. საკალ.)



ველიერის ხუთშაბათს, ე. ი. დღევანდელ დღეს, საქართველოს ეკლესიას ძველად-განვე მიუღია წესად ღირსი მამა შიო მღვინის სსენების აღსრულება. დიდსა და ღირს-შესანიშნ დღესასწაულს წარმოადგენდა ძველად მთელ ქართლში დღევანდელი დღე; როგორც სხნას დღევანდელი საგალობლიდგან, დიდის განცხრობით, კრძალულენით, გულს მოღვინობით და აღტაცებით ეგებებოდა მას ძველად ქართველობა; დიდი ერი, აჟარებელი მლოცავი ესწრებოდა მუდამ ამ დღესასწაულს; მთელი ქართლი დიდიდან პატარამდე მოისწრაფოდა ყოველ წლივ ღირსი შიოს წმიდა საფლავის თაყვანის საცემლად. მაგრამ განვლო დრომ და ამ ერის სულ ჩამდგომლა დღემაც სულ სხვა გვარად იცვალა ფერი. საქართველოს საზოგადო მტერ-მტარველებმა არც ეს წმ. ალაგი დასტოვეს აუოხრებელ-აუკლებლად, მოუსენარამ სპარსელებმა და ლეკებმა მრავალჯერ გაძარცვეს შიოს ღავრა, წა-

რიტაცეს მთლად მისი მდიდარი სამკაული, მიანგრ-მოანგრეს ძირფასნი შენობანი, ამოსწყვიტეს აქ მოღვაწე ბერ-მონაზვნებ, შემოფანტეს და შიშის ზარი დასცეს მლოცველებს, ველარავის შეფქლო აქ მოსვლა და ამის გამო ბოლოს საქმემ იქამდე მიღწია, რომ ეს ოდესმე ფრად ცნობილი და სახელგანთქმული საფანე, ეს წსიქადული მთელი ქართლისა შეიქმნა სრულებით მივიწყებული და ყველასგან თავინებებული. ძნელი იყო, რომ ამ ოკითხუმეტი წლის წინეთ დღევანდელ დღეს ენახა ვისმეს აქ ხუთიოდე მლოცავი, ან კი საიღამ უნდა მოსულიყვნენ იგინი, როდესაც მონასტრის მიდამო დაქერილი ჰქონდა ატეხილ, გაუვალ ძემქსა და საცალფენო ბილიკაც არსად მოიპოებოდა, ხოლო ეს ეკლესია იყოფებოდა ისეთ უკიდურ მდგომარეობაში, რომ თავზე დაწოლის შიშის გამო, ვერავინ ბედავდა მაშიდ შესვლის? მადლობა ღმერთსა, რომ სამუდამოთ გათავდა ეს შავი და ავად სახსენებელი დრო, დამეკვიდრა ჩვენ ქვეყანაში მშვიდობა და შეურყვევლი მყუდროება და, აჰა, შიო მღვინელის მადლითა და შეწყენითა, დანგრეულ-დაძველებული ეკლესიები განახლდნენ, აიგნენ ძვირფასი და საკმარისად მოზრდილნი შენობანი ბერთა საცხოვრებლად და მლოცავთა სადგურად, გამარავლდა კრებული, გაიშართა მუდმივი წირვა-ლოცვა, გაიღვიძა მიძინებულმა არე-მარემ, კვლად იწყო დენა სალოცავად მრავალმა ხალხმა, კვლად ვეღირსენით ღირსი მამა შიოს წმინდათა ძვალთა ამბორის ყოფას განახლებულ და გამშვენებულ ტაძარში!

დიდნება მამასა, რომელმანც შეგვასწრა ამ გარემოებას, მადლობა ძქსა, რომელმანც ღირს გვეყო დღევანდელი დღისა, თავგენის-ცემბ სულსა წმიდასა, რომელმანც აღგვიდგინა მამეული სალოცავი, სულით განათლება მას, ვინც ასე მხნელ შეუღდა ამ გაციკებული მონასტრის განახლებას და მას უმსგავრბლა თავისი ჯანი, გონება, გამოცდილება და ქონება!

ესლა, ძვირფასნო მსმენელნო, როდესაც განვლო ჩვენი მწუხარების ღამემ და გავითმენდა დღე სიხარულისა, როდესაც განახლდა თქვენი მამა-პაპის სალოცავი, როდესაც ყველას შეგძლიანთ სულ აღვილად და დაუბრკოლებლად აქ მოსვლა გულითადი ღოცვა-ვედრების აღღვინით დასატკობლად, თქვენს ზნეობრივ მოვალეობას უნდა შეადგენდეს,

სხვათა შორის, ზრუნვა და თავდადებული მეცადინობა იმის შესახებ, რომ ღირსი მამა შიოს სახელს აღუდგინოთ კვალად თქვენს ნაცნობთა, მეზობელთა და ნათესავთა შორის ძველგებური ხსოვნა და პატივისცემა; თვითთული თქვენგანი მოვალეა გაიტანოს ამ ღირსი მამის სახელი შორის ხალხში, მიუთხრას აქ არა მყოფ ერს რა სულიერ კმაყოფილებას, ნეტარებას და ზეციურ ბედნიერებას ჰპოვებს შიოს საფლავის მლოცვე-მავედრებელი და ამითი აღუძრას ყველას მსურველად წადილი სსენებული წმინდანის სასწაულ მოქმედთა ნაწილთა თაყვანის-ცემისა. მაგრამ ამასთან ერთად თქვენსვე მოვალეობას შეადგენს განსაკუთრებითი ზრუნვა იმის შესახებ, რომ თქვენი აქ მოსვლა, თქვენი წარდგომა წინაშე ღირსი მამა შიოსი იყოს მისთვის სასიამოვნო და არა სამწუხარო. ხოლო თქვენ თითონ დაფიქრდით, თქვენ თითონ მოისაზრეთ, გახომეთ და ასწონეთ, რა ესიამოვნება, რა გაახარებს და ამებს მას, რომელიც შემოსილია ზეციური ნათელით და განსეტაკებულია კოდვითაგან. იგი განუშორებელია წინ სდგას სუციური მამისა, და განა რომ არ ესიამოვნება დანახვა ისეთი ადამიანისა, რომელიც არ იცნობს ამ ზეციურ მამას, არა წყობილობს ყოველ საქმეს მისი სახელის სსენებით? იგი მუდამ ვედრდება და უგალობს ღმერთსა, და განა რომ მისთვის გასახარდელი არ იქნება დანახვა ისეთი პირისა, რომელმაც არ იცის ყველა რიგვანი ქრისტიანისათვის საეღვრებულაო ლოცვები და არ უყვარს წირვა-ლოცვაზედ დასწრობა? მისი პირი წარმოსთქვამს მხოლოდ ღვთის ვედრება-გალობას, და განა რომ დიდად სამწუხაროდ დაურჩება მას დანახვა ისეთი ადამიანისა, რომელსაც ენაზედ აკერია გინება, ლანძღვა, უწმინაური სიმღერა და უშვერი ლაპარაკი? მისი გულის შინაარსს შეადგენს ყველას სიყვარული, ყველასთვის ბედნიერება, ყველას დახმარება და შებრალება, და განა რომ სამძიმოდ დაურჩება მას ხილვა ისეთი ადამიანისა, რომელიც მტერია თავისი მეზობლისა, სცდილობს ქვირთვობლების დაჩაგვრას, დაძალებას და ღალატს? მან შრომით და მოქირნოებით მოიპოვა ღვთის მადლი, და განა რომ არა სასიამოვნო იქნება მისთვის კაცი უღებო, ზარმაცი და მკონარი? მან მარხულობაში დალია თავისი ღღენი, და განა რომ არაფრად უნდა ესიამოვნოს ხილვა ანუ მუცელა და მსმელი ადამიანისა? აქ თითო ფეხის დაღმა ალაგი

მორწყულია ღირსი შიოს ცრემლით, ყოველი მცენარე და ქვა განბანლია მისი მოღვაწებრივი ოფლით, აქაური ჰაერი განწმენდილია მისი ანგელოზებრივი ლოცვა-ღაღადით, და რა კითხი უნდა, რომ თქვენი რომელიმე ზნეობრივი უწმინდურება, ზნეობრივი ნაკლულეანება და არა წმინდა მიდრეკილება შეღახავს აქაურობას და ამის გამო გარისხდება და გასწყრება აქაურობის მცველი და მფარველი—ღირსი მამა შიოც.

სამწუხაროდ, საეღვროდ და სატირლად ქართლის სოფლების მცხოვრებლებს ძალიან ნაკლებათა აქეთ შეგნებული კოდნა ღმერთზედ და წმინდანებზედ, იშვიათია, რომ იცოდეს ვინმე მათ შორის ორიოდ ლოცვა, დიდმაც და პატარამაც გული აიყარეს ეკლესიაზედ და მისს მაგივრად დიდად შეუყვარებიათ დუქანი, რომლის კარების წინ აღამებენ კვირა უქმებებს უახრო, უთავბოლო და გამხრწნელ ლაშობაში, მუშაობის დროს ერთობიან უშვერი ხუმრობა-ოხუნჯობით, ღღეს არ და აღამებენ მეზობელთან წაუჩხუბრად და ნაბიჯს არ გადასდებენ, რომ ჯოჯოხეთური გინებით არ მიმართონ სამუშაო იარაღს, ან საქონელს!

აი რა უზნეობის უფსკრულშია ჩაყარდნილი ღღეს ქართლელი გლეხი, რა ღვთის საგამობელ გზას აღვია ბგერი თქვენგანი, რა უსუფთაო, სახიზლარი და შემწუხებელი ჩვეულებანი გაქვთ გამაჯდარი ძვალ-რბილში! კარგი და პატროსანი, თუ ყველაფერი ესე მოიშორეთ თავიდან, ყველაფერი ესე დაუტოვეთ სამუდამოთ და მოაშურეთ ამ წმინდა ალაგს იმ განზრახვით, რომ გაახაროთ ესოდენი სასიამოვნო საქციელით ღირსი მამა შიო და გამოსთხოვოთ მას მადლი და შეწყვენა კეთილ ცხოვრებაში წარსამატებლოდ. მაგრამ ნუ ავიხვეთ ტყუილ უბრალოდ თვალებს, ნუ მოცუყუდებთ განზრახ: მლოცავთა დიდი უმრავლესობა მოვიდა ამ წმინდა ალაგს და წარსდგა ღირსი შიოს საფლავის წინ სწორით იმ ზნეობრივი ნაკლულეანეებებით, რომლებიც აბნელებენ მისს ყოველ დღიურ ცხოვრებას სოფელში. ცხადია, მშასადამე, რომ სწუხს და არა უზარბან ღირსი მამა შიოს ეს სიმრავლე მლოცველებისა, იგი გამწარებულ-გარისხებულია ჩვენზედ და ამის გამო სულ ამაოა ეს ჩვენი შრომა და ცალმხრივი ხვეწნა-ვედრება. დიდად, სწორეთ ასეა, მაგრამ მაინც სასოწარკვეთილებას ნუ მივეცემით, კდვე

გვაქვს საშუალება გავასწოროთ დანაშაული და კვალად მხიარულ ვყოთ იგი, ვის კარსაც მოვსულვართ შენდობისა და ლოცვა-კურთხევის მისაღებად. დიდ სიკეთეთ ჩაგვეთვლება და ღირსი შიოც მოიბრუნებს ჩვენზე გულს, უკეთუ ამ წმინდა ნაწილებისა და საფლავის წინ შევიკვრიოთ ყველანი მტკიცე და შეუდრეკელი დაპირებით, რომ დღვის ამას იქით მოვიშლით უკეთურობას და შეუდგებით ქრისტიანულ ცხოვრებას. ღირსი მამა, მხედველი ამ გვარი ჩვენი აღთქმა-დაპირებისა, დაგვლოცავს რა გულმტკივნეულად, მხიარულებით წარუდგება ზეციერ მამას და მოახსენებს: ვიხილე მე სამწყსო ჩემი, იგი ყელამდინ ავსილა ცოდვა-დანაშაულობით, მეტად დაცემულა და დაფადებულა ზნობით, მაგრამ, ჩემი ხსენების დღეს, მას დაებადა წრფელი სურვილი ცოდვათა შენანებისა და კვალად სიკეთისაკენ გამობრუნებისა, ამისთვის მსურვალედ გვეცდრები: მიანიჭე მას, მეუფეო, მადლი და კურთხევა შენი, რათა შესძლოს მან მომავალში დაუბრკოლებლად აღსრულება იმ კეთილი აღთქმისა, რომელიც წარმოასთქვა მან გულის სიღრმეიდგან ჩემი საფლავის წინაშე

ღი და შემუსვრილი გულით ესრეთ შევთხოვოთ: „ითხოვე ჩვენთვის წყალობა, ჰოი მამაო, კანდიტრებით წინაშე მეუფისა; მოგვხედნე, ტკბილო გულითა და სიტყვითა, ტკბილად ყოველთა ხსენებასა შენსა დღეს“. ამინ.

ლუწინდი, ეპისკოპოზი გორისა.

ს ი ტ ვ ა ,

თქმულა ქუთაისის საკრებულო ტაძარში 20 თებერვალს 1900 წ.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა.

ანა მსმენელნი ჰსჯულისანსა განმართლდენ წინაშე ღმრთისა, ანამედ მუფელებნი ჰსჯულისანსა განმართლდენ.

(რომ. 2, 13).



წმ. მამა შიო მღვიმელა.

დავებნეთ პირ ქვე, საყვარელნო მსმენელნო, ამ წმიდა ნაწილების წინ, მოვიდრიკოთ ყველამ ქე-



ოგორც ამ საღმრთო სიტყვებიდგან სჩანს, მძნაო და დანო ქრისტიანერო, ის კი არ არის მართალი წინაშე ღვთისა, რომელიც, თუმცა ისმენს ღვთის სიტყვას, მაგრამ არ სურს აღასრულოს ის, რასაც კაცისგან თხოვილობს სიტყვა იგი; ის კი არ არის მართალი, რომელიც დღე და ღამ გულმოდგინედ მეცადინეობს, რომ კარგად შეისწავლოს საღმრთო წერილი იმ მიზნით კი არა, რომ შეასრულოს ის, რაიცა ესმის იქიდგან, არამედ მისთვის, რომ თავი გამოიჩინოს მისი ცოდნით წინაშე ხალხისა, რათა აქებდნენ და აღიდებდნენ მას; ის არ არის მართალი ღვთის წინაშე, რომელიც საღმრთო წერილის კითხვის და სმენის დროს მდულარე ცრემლებს ღვრის და აფრქვევს, შემდგომ რაოდენისა წამისა, სრულიად მის წინააღმდეგ ჰვიქარობს, გრძობს და მოქმედებს, ის კი არ არის მართალი, რომელმაც თითქმის ზეპირად შეისწავლა მთელი „დაბადება“ ისე, რომ თითოეულს მუხლსაც კი გიჩვენებს, სად და რაზედ არის ნათქვამი და დარიგება, და თვითონ კი,

სრულიად წინააღმდეგ „დაბადების“ მოთხოვნებისა და დარიგებისა სტოგოროზს და მოქმედობს. არამედ ის არის წინაშე ღვთისა მართალი, რომელიც წმინდის სულით და გულით ისმენს ღვთის სიტყვას და თანაზმად იმისა სიკვდილამდის მიჰყავს თავისი სი-
ცოცხლე ღვთისდა სასიამოვნოდ.

რა სარგებლობა კაცი ისმენდეს და სწავლობდეს საღმრთო წერილის, და მისს სწავლა-მოძღვრებას კი არ ემორჩილებოდეს? და სარგებლობას მიიღებს ის ქრისტიანი, რომელიც ამტკიცება და აღვიარებს, რომ მე მართლ-მადიდებელი ქრისტიანი ვარო, ვარნა საქმით კი ემსაგებება წარმართთა და კერპთ-თაყვანის მკვლევებს? ამნაირ მოქმედებით და ქტევით კაცი არავითარს სარგებლობას და სიკეთეს არ მიიღებს, არამედ დამისაწერებს ღვთის რისხვას და საუკუნოდ დაისჯება. ის, რომელსაც საღმრთო წერილი შეუსწავლია და არ აღსრულებს იმას, რასაც თხოულობს იგი მისგან, ემსაგებება იმ ადამიანს, რომელმაც ჩაიხვდა სარკეში და დაინახა თავისი სახე, ხოლო მოსცილდა რა სარკეს, მაშინვე დაავიწყდა თავისი სახე, როგორც ამაზდ ამბობს წმ. მოციქული იაკობი: „უკეთუ ვინმე მსმენელ ხოლო იყოს სიტყვისა მის და მყოფელ არა, ესე ვითარი იგი მსგავს არს კაცისა მის, რომელმან განიცადის პირი ქნულებისა თვისისა სარკითა; რამეთუ განიცადა თავი თვისი და წაიღო და მეყვითულად დაავიწყდა რა-ბამ რა იყო“ (იკ. 1. 23—24).

ბევრი ჩვენგანი იტყვის, ძალიან კარგია, რომ ჩვენის მაცხოვრის ქრისტეს სწავლა-მოძღვრებას ვასრულებდეთ და ჩვენს სიკოცხლეში მხოლოდ მას მივსდევდეთ, მაგრამ არ შეგვიძლიან 1-დ მისთვის, რომ ჩვენ უძღლური ვართ, და 2-დ მისთვის, რომ ამ ქვეყნიურის ცხოვრების დასიამოვნებისთვის ზრუნვა და მეცადინეობა ნებას არ გვაძლევს და არ გვცალიანო.

ეს მართალია! ჩვენის ცოდვებისგან დასახინჯებულის ბუნებით—უძღლური ვართ, და ამისთვის ხან და ხან იმ კეთილს და ღვთის სასიამოვნო საქმეს კი არ ვიქმთ, რომელიც გულით გვსურდა და გვინდოდა, არამედ—იმ—ზოროტს, რომელიც დიდად ეჯავრება და ეზიზღება ჩვენს გულს და მისგან ივლტვის; და სხვანი კიდევ მრავალნი არიან, რომელნიც ფრიალ გვაბრაკოლებენ ღვთისდა სასიამოვნო ცხოვრებასა და სულის ცხონებაზედ. მაგრამ რა გა-

მოვა აქედან? ნუ თუ მარტო ამ წუთისოფლის სიამოვნებისათვის უნდა ვიზრუნოთ და სულისთვის კი არა? ნუ თუ ნება გვაქვს ვსთქვათ: უფალო, ნუ განგვიკითხავ და ნუ დაგვსჯი, რადგან არ შეგვიძლიან შევასრულოთ ის, რასაც შენ ჩვენგან თხოულობ?

თუ ასე ვიტყვით, მაშ ყოვლად უბედურნი ხალხნი ვყოფილივართ! საკლადანი და უბედურნი მისთვის, რომ ღმერთსაც, ხალხსაც და თავსაც ვატყუებთ. ნუ თუ ჩვენი მაცხოვარი ქრისტე ძე ღვთისა თვისთა დარიგებთა და მცნებათა მხოლოდ წმიდათა, განდევლითა, სწავლულთა და მეუღაბნოებს აძლევდა და არა საზოგადოდ ყველას? მაშ რას ნიშნავს მაცხოვრის სიტყვა: „მოვედით ჩემდა ყოველნი მაშკრალნი და ტვირთ-მძიმენი, და მე განვისვენო თქვენ“ (მათ. 11, 28—29)“. თუ ამას არა, მაშ რას მოჰყავდა ყველა განურჩევლად და უმეტესად უმეტარნი და ცოდვილნი სინათლისადმი და ამტკიცება მათ ქეშმარიტ სარწმუნოებაზედ! ამ უბადრუკთა და უმეტართა მიიღეს თუ არა მისი სწავლა-მოძღვრება—მისი მცნებანი, და ირწმუნეს იგი ძედ ღვთისად, თუ არა?

ქეშმარიტად, რომ მათ წმიდის გულით და სულით ირწმუნეს იგი მაცხოვარი და მისდევდენ მას. თუ ესრედ არ ყოფილიყო, ვერც ვაგრცელდებოდა სარწმუნოება ქრისტესი პირსა ზედა ყოვლისა ქვეყანისა!

მაშ ცხადად ვხედავთ, ძმანო ქრისტიანენო, რომ ჩვენ ნება არ გვაქვს თავი გავიზაროთლოთ მით, რომ ჩვენის უძღლურებისა, ქვეყნიურის ცხოვრებისა და სიამოვნებისათვის, ვერ ვაღსრულებთ ღვთის მცნებას. მართალია, ამის აღსრულება და სულის ცხონებისათვის ზრუნვა ბევრს მეცადინეობას და შრომას თხოვილობს ჩვენგან, მაგრამ განა ამ წუთისოფლის სიამოვნება და ცხოვრებაც არ თხოვილობს ჩვენგან უფრო მეტს ჯაფას და შრომას?

ჩვენ კარგად ვხედავთ, რომ თუ თავი არ გვიწვალეთ და არ ვიშრომეთ, ვერ ვიცხოვრებთ ისე, როგორც გვსურს ამ ქვეყნად; მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სული უმეტესია საქმელზედ, და ხორცი—ტანთსაცმელზედ. თუ ჩვენ ხორციელი ცხოვრება მიგაჩნია უმეტესად სულისა და საუკუნო სანეტარო ცხოვრებისა და ცხონებისა, მაშ ვინა ამაში დანაშაუვე, თუ თვითონ ჩვენ არა? თუ წუ-



თსიფლისის სიამოვნებისა, კეთილდღეობისა და სიმდიდრისათვის თავს არ ვზოგავთ, დღე და ღამ მოსვენებას არ ვაძლევთ ჩვენს თავს—ოღონდაც მივალწოთ ამ მიზანს, ნუ თუ სულისა და საუკუნო ნეტარცხოვრებისთვის უმეტესად არ უნდა ვზრუნავდეთ? მაგრამ ამაში ჩვენვართ დანაშაულები და არა სხვა ვინმე.

მართალია, რასაც დაწველილებით თხოულობს ჩვენგან სჯული ღვთისა, ჩვენ ეს არ შეგვიძლიან და, თუ კიდევაც შევასრულოთ, გარნა რომელიმე მცნება დავარდღეთ, მაშინ მაინც დანაშაულები ვრჩებით წინაშე ღვთისა.


გარნა ჩვენი გამოჩენილი—ღმერთი ისეთი არ არის, როგორც ვართ ჩვენ რომ ღვთისდა სისიამოვნოდ ვიცხოვროთ და ვეღირსათ საუკუნო ნეტარებას, ამას ჩვენ ვერ შევსძლებთ უღეთოდ. უამისოდ არამც თუ რაიმე კეთილს ვიქმთ, არამედ ვერც კი ვიფიქრებთ და ვერც ვისურვებთ; მაშასადამე, აქაც ღმერთი გვეხმარება. ესთხოვთ ღმერთს შემწეობა და იგი უსათუოდ მოგვეხმარება. მაგრამ ის კი უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი თხოვნა უნდა იყვეს თანახმად ღვთის ნებისა. ღმერთი გვობრძნებას: რაიცა გსურს შენთვის, ის მოინდომე სხვისთვისაც, და კეთილ გვეყოს შენ. განა ეს გასაჭირი და საძნელოა? სრულიადაც არა! თუ ამ გზას დავადგებით და მივებრუნებით, მიშინ ყოველივე კეთილი გავგიადვილებდა, ვამდვილ ქრისტიანურად და ღვთისდა სისიამოვნოდ ვიცხოვრებთ.

აი, მძანო და დანო ქრისტიანნო, ხვალისდგან დაგვეწყება წმიდა ორმეოცი დიდ-მარხვა, ჩვენი ხორციელად და სულიერად ღვთისადმი დამახლოებელი. მარხვა არის ორნაირი: ხორციელი და სულიერი. ნამდვილი და წმინდა ხორციელი მარხვა მაშინ იქნება ჩვენთვის, როდესაც ჩვენ არამც თუ დავიმარხავთ, მოვერიდებით და თავს შევიკავებთ სახსნილო საქმლისგან, არამედ მეტი და უზომო სამარხო საქმლის მიღებისგანაც თავს ვიკავებთ და ვერიდებით ასე, რომ სამარხო საქმლით და წყალის მიღებითაც არ ვიძიმებთ თავს. ანაირი მმარხველი ქრისტიანი თავისუფლად სდგას ეკლესიაში, ლოცვილობს და აღიდებს ღმერთს. ხოლო სულიერი ქეშმარიტი მარხვა იქნება მაშინ, როდესაც ქრისტიანი—მმარხველი—არამც თუ საქმით და სიტყვით ერიდება ყოველსავე ბოროტებას, არა-წმინდებსა და ღვთის განმარისნებელ საქმებს, არამედ ფიქრადაც

კი არ განზრახავს და არ ისურვებს ღვთისა, და მისის სჯულის რაიმე დამარღვეველს.

თუ ასე მოიქცა ქრისტიანი, იგი ნამდვილ მარხულობს ხორციელად და სულიერად. ამითი იგი დაუახლოვდება ღვთის სიწმინდეს და დიდად ასამოვნებს თვისს მაცხოვარს ქრისტე-ძე ღვთისას, რომელმაც იმარხულა 40 დღე და ღამე; გვიჩვენა მაგალითი ქეშმარიტის მარხულობისა და დაუწესა თვისთა მორწმუნეთა, რათა მათაც ესარეთ იმარხოთ ყოველსა წელსა. და ესრედ ესთხოვ ამ ჩვენს მაცხოვარს შეგაძლებინოთ ნამდვილ—ქრისტიანურად ცხოვრება, შეგაძლებინოთ ამა დიდ მარხვის წმინდად შესრულება და ღირსეულად მიგაღებინოთ წმიდა საიდუმლო ზიარება. ამინ.

დ.კ. რაჭდენ გეგურგია.



ს ი ტ შ ვ ა,

თქმული მღვ. იოსებ წერეთლისგან განსვენებულის მღ. ნიკოლაჲს წერეთლის დასაფლავების დროს.

სურს უფალსა ხული მართალთ, რამეთუ საყვარელ არიან საყოფელი მისი ცათა შინა.

პატროსანო მამაო ნიკოლოზ!


უწყალო და უღმობელმა სიკვდილმა მოგახდევინა თავისი ბეგარა, გამოგვაცალა ხელიდგან შენი თავი და დავგაზორა ერთმანეთს სამუდამოდ. ჩვენი საზოგადოება, შენი ახლოს მცნობი და მთელი შენგან დაობლებული სამრევლო სტობის და გლოვს შეს დაკარგვას და ქეშმარიტად „მართლიადა“ ტირილი ჩვენი. შენში ჩვენმა სამღვდლოების წრემ დაკარგა თანამემსხვერპლე, შემკული ყოველივე ღირსებით, ხოლო შენმა სამწყსომ მწყემსი კეთილი; შენ იყავ ქეშმარიტი მამა შენი სამწყსოისა და ნახევარი საუკუნე მღვიპარედ მწყსილი და ზრუნვილი მათთვის და ღირსეულად ასრულებდი შენს სამახულს; გქონდა რა შევგებული ქეშმარიტება და მცნება ღვთისა, ყოველ შემთხვევაში იყავი შემწე და მფარველი გაჭირვებულისა; ერთი სიტყვით იყავი

დაულალავი ხელმძღვანელი შენ სულიერ შვილთა ყოველ კეთილ გზაზე და შენისავე კეთილი და პატიოსანის ცხოვრების მაგალითით და პირნათელი დარიგებით ამტიკებდი მათ ზნეობრივ და სარწმუნოებრივ, ამისთვისცა დამისახურე განუსაზღვრელი სიყვარული და პატივი შენი სამწყსოსაგან და შენ ნაცნობთაგან. გეგმოდა რა მნიშვნელობა სწავლისა არა მკირედი ღვაწლი და ხარჯი მიგიძღვის შენ შვილების აღზრდაზე, რომელთაც ჯეროვანი სწავლ-განათლება მიიღებინე და რომელთაც საუკუნოდ დაშორდი დღეს.

ალარ გეყავს, ალარ კაცი კეთილი, უმანკო, წმინდა კეთილ გრძნობისა, დღე და ღამ ღვთისა მავედრებელი, მქადაგებელი თანაგრძნობისა.

ეს არის კუბო იმ წმინდა მოძღვრის, ვინც ხალხს ზნეობრივ განამტიკებდა, შეასწავებდა სიყვარულს მოძმის და სიტყვას საქმით თვით უმტიკებდა, ჩვენ წინ მღებარებს იმ მოძღვრის გვამი, ვინც მწყსიდა სამწყსოს ორმოცდაათ წელს, ვინც სიტყვა-საქმით მუდამ დღე-ღამე წინ მიუძღოდა თვის საყვარელ მრევლს.

ამის დავსტორით ღირსად ხსენებულს, უკანასკნელად ამბოროს უყოფთ მას დაჩვევდრებით აწ განსვენებულს, ღვთით მოგვივლინდეს ლოცვა-კურთხევას.



კატეხისეუწი საურბეი სხახრების ცხრა ნეტა რეხაზე.

საშუბარი მესამე.

(რს დამღუწველი შედევი აქვს შედიურბასს და სამხარტყნაეს ჩვენს სულისათვის).

წარსულს საუბარში ჩვენ მოვიხსენეთ, რომ ჩვენი სულის პირველი დამღუწველი არის სიამჰარტაენე და მედიღურობა. უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს: „ყოველმან, რომელმან აღიმაღლოს

თავი თვისი, იგი დამდაბლდეს, და რომელმან დამდაბლოს თავი თვისი, ამაღლდეს (ლუკ. 14, 11).

ღირსი მამა ორი ამბობს: „იკოლე, რომ მედიღურობა ყოველი კეთილი საქმის დამღუწველია“. თუ რა დამღუწველია კაცისათვის მედიღურობა, ამის ცხად მაგალითს წარმოგვიდგენს ბაბილონის მეფე ნაბუქოდნოსორი. ეს ძლიერი მეფე დემსგავსა უენო ცხოველებს, ვინაიდან იწყო მედიღურობა თავისი ძლიერებით და სრულებით დაივიწყა ღმერთი, რომელიც განაგებს კაცთა სამეფოებს. ეხლა თვლი გდავათვლო ღირსი მამის ისაკი პეჩერსკის ცხოვრებას. ეს წმიდა მამა შვიდი წელიწადი მოღვაწეობდა კარჩავეტლი, მუდამ ქაშა ლოკვილობდა, საზრდობდა მარტო ერთი სვეისკვრით და სემდა ცოტაოდენ წყალს, არას ღროს დასაძინებლად არ წვებოდა, როცა დასვენება მოუზნებოდა, სკამზე ჯდებოდა და ისვენებდა. ასეთი ცხოვრების მექონე კაცი დაისჯა თავისი მედიღურობით. ამ წმიდა მამამ თავისი თავი წარმოიდგინა წმიდანად. როგორც კი მედიღურობამ იჩინა მამა ისაკის გულში თავი, მაშინვე მის მახლობლად განჩნდა ბოროტი სული ეშმაკი, ეს დაუძინებელი მტერი კაცთა ნათესავისა. ერთ დღეს მამა ისაკიმ ბევრი იკითხა და იგალობა ფსალმუნები. ბოლოს დაღლილმა გააქრო სანთელი და დაჯდა დასასვენებლად. უეცრად გამოქვაბულში მან დაინახა არა ჩვეულებრივი სინათლე და მის წინ წარდგა ორი სამოსელ ჩაცმული ყმაწვილების სახით და უთხრეს ისაკს: „ჩვენ ვართ ანგელოსები და შენთან ამავე წამს მოვალს თვით ქრისტე“. ნაცოლად მისა, რომ ამ წმიდა მამას გამოესახა პირველი, შევენო თავისი უღირსოება და ეთქვა ეშმაკებისათვის, რომ იგი ღირსი არ არის იხილოს ქრისტე და წარსდგეს მის წინაშე, მოუფიქრებლად დავარდა ეშმაკის წინ, რომელიც გამოეცხადა მას ქრისტეს სახით. როგორც კი მუხლი მოიყარა ეშმაკის წინ, ბოროტმა სულმა, რომელიც ანგელოსების სახით გამოეცხადენ ამ მამას, სიხარულით წამოიძახეს: „ჩვენო ისაკი!“ შემდეგ გარს შემოერტყენ მას სხვა და სხვა საკრავებით და იმდენი ახტუნეს მამა ისაკი, რომ მეორე დღით იგი გონება მიხილი ნახეს და ამ დღიდან იგი რამდენიმე წელიწადი სულიერად და ხორციელად დავარდნილი იყო. აი როგორ დაღუბა მედიღურობამ მამა ისაკი კიდევ რომ მოვიქმედოთ რაიმე



კეთილი საქმე, ჩვენ მაინც არ უნდა ვიამბარტავნოთ და ვიმედიდუროთ. ამის შესახებ აი რა ქკუის დასარიგებელ სწავლას ვაღმოგვეცემს ერთი წმ. მამა თეოდორე მესვეტე: „ჩვენ ვიყავით ორი ძმა, ეუბნება თეოდორე მესვეტე ედესის ეპისკოპოსს თეოდორეს; უფროს იოანეს ეძახდნენ. ჩვენ ახალგაზღობაშივე მივატოვეთ ქვეყნიური ცხოვრება და ვიწყეთ უღაბნოში ცხოვრება. სამი წელიწადი გავატარეთ მონასტერში. შემდეგ საბოლოოდ გადავწყვიტეთ უღაბნოში ცხოვრება, მაგრამ ამის შესახებ წინდაწინვე შევეკითხეთ ჩვენ სულიერ მოძღვარს, რომელმაც ლოცვა-კურთხევა ვაღმოგვცა. ჩვენ დავბინადეთ უღაბნოში — ბაბილონიდან ცოტა მოშორებით. ჩვენ ვცხოვრებდით გამოქვაბულებში ცალკალკე. ვსაზღაობდით იმ მცენარეთა ფესვებით და ნაყოფით, რომელნიც იზრდებოდნენ უღაბნოში და მთელი დღე ვლოცვილობდით და ვფიქრობდით ღმერთზე; დრო და დრო გვეცხადებოდა ჩვენი ანგელოსები, რომელთა გამოცხადება ჰხადავდა ჩვენში დიდ სიხარულს და სიხსენს. შაბათობით და კვირაობით ჩვენ ორივე ძმები ერთად ვიკრიბებოდით სალოცავად; ლოცვის შემდეგ ისევე ჩვენ-ჩვენ გამოქვაბულში მივდიოდით. ასე ვავატარეთ რამდენიმე წელიწადი, ერთხელ, როცა უღაბნოში მწვანოილეულობას ვკრებდი, შორიდან დაღინახე ჩემი ძმა იოანე, რომელიც საზრდოსვე ავრავებდა. უეცრად შევინხე მე, რომ იოანე შეჩერდა, დაიღუნა და რაღაც განცვიფრებით იქცირებოდა ძირს, ასე დავფიქრებული იყო ცოტა ხანს, შემდეგ ვადიწვრა პირჯვარი, უეცრად ვადახტა იმ ადგილიდან და გაჩქარებით ვასწია თავისი გამოქვაბულისკენ. ჩემმა ძმის საქციელმა რაღაც გამაოცა; მე მივედი იმ ადგილთან, რომელსაც ვადახტა ჩემი ძმა, და ჩემდა გასაოცრად დაღინახე ოქროს გროვა. მე შევევედრე უფალს, გავიძრე ზემო ტრანსსაქმელი და მასში ჩაეყარე ნახული ოქრო. ძლივს ძლიობით მოვათრიე ოქრო ჩემს გამოქვაბულამდე და მეორე დღესვე, ჩემი ძმის უნახავად, ვაგსწიე ქალაქში. მე იქ ავაშენე ტაძარი, ავაშენე მონასტერი და ამ მონასტერთან საავადმყოფო და მგზავრთა თავშესაფარი სახლი. დავტოვე საქაო ფული საავადმყოფოს და მგზავრთა თავშესაფარის შესანახავად და დანარჩენი ფულები დავურიგე ღარიბებს ისე, რომ ჩემთვის ერთი კაპიკიც კი არ დამიტოვებია, როცა ყოვე-

ლივე ეს მოვიქმედე, სრული კმაყოფილი დაგბრუნდი უღაბნოში. გზაზე თავში დამებდა სხვა და სხვა მედიდური აზრები. „აი, ვფიქრობდი მე, რა დიდი და ღვთის სასიამოვნო საქმეები შევასრულე, ხოლო ჩემმა ძმამ კი, რომელმაც პირველად ნახა ოქრო, ვერ მოახერხა მისი მოხმარება“. ასეთი აზრებით ვატაცებული მე კიდევ მიუახლოვდი გამოქვაბულს, რომელშიაც ჩემი ძმა ცხოვრებდა. უეცრად მე დაღინახე ჩემ წინ ააგელოსი, რომელიც წინადაც ხშირად მეცხადებოდა. მაგრამ ახლა ამ ანგელოსის სახე რაღაც მრისხანე იყო და საყვედურით მომმართა მე: „რატომ ამბარტავნობ, მითხრა მან, და შენს ძმაზე უფრო დიდად სთვლი შენს თავს? ქვეშაირტად გეუბნები შენ, რომ ყველა შენი საქმეები არა ღირს იმ გრძნობათ, რომლის გამო შენმა ძმამ მიატოვა ოქრო. ის ოქროს კი არ ვადახტა თავზე, არამედ იმ უფსკრულს, რომელიც იყო ღარიბ ლაზარესა და თავმომწონე მდიდარს შუა და წიაღი აბრაამისა ელის მას; შენი ძმის ღვაწლი უდიდესია შენსაზე და უფრო სასიამოვნოა ღვთისათვის; ქვეყანაზე ცხოვრების დროს შენ ვერ იხილავ ამ ღვაწლს და ვერც მე მიხილავ დღეიდგან; მხოლოდ ვცადე მონანებით და ლოცვით შეაწყალო თავი უფალს. აი რა სასტიკი სასჯელი მოჰყვა თან მედიდურობას და ამბარტავნებას, თუმცა, ერთი შეხედვით, ეს მედიდურობა და ამბარტავნება შეგვიძლია გავამართლოთ კიდევ, ვინაიდან მართლა რომ იმდენი კეთილი საქმეები მოიქმედა თეოდორე მესვეტემ.

ძმანო ქრისტიანნო, დასახელებულ მაგალითებისაგან ცხადათ ჩანს, თუ რა დამღუბველია ჩვენი სულისათვის მედიდურობა. მოვირიდოთ, ძმანო მედიდურობას და ვეცადოთ, რომ მის მაგიერ მოვიპოვოთ სიმშვიდე და სიმდაბლე და მუდამ გვახსოვდეს სიტყვა ღვთისა: ამბარტავნათა შემუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბლთა მოსცის მადლი (იაკ. 4, 6).

სადალ მოსილიძე
ქოს ჭემშირტი ბედ-

შეწირულებანი.

ამიღება ხელის-მოწერა 1900 წლისათვის ორ
კვირულ გამოცემათა ქართულს

I

ჭიათურის მრეწველობის ბოქაუღთა შტ.-
კაპიტანმა ნესტორ ნ. არდიშვილმა გაზართა
ხ დის მოწერა და შეაგროვა 104 მ.ნ. და 70 კ.
ამ ფულებიდან მან 6 მ. გადადვა სკოლისათვის
საჭირო ქურნაღის გამოსაწერათ და დანარჩენი
98 მ. და 70 კ. მოახმარა ორი «იოლგის» გა-
მართვას. „იოლგები“ დაიდგა ნიანვარს ჭიათუ-
რის სკოლის შენობაში სკოლის შენობისათვის
«იოლგების» (საშობაო ხე) მოწყობაში გულ-
მხურვალე მონაწილეობა მიიღეს თვით ბ. არ-
დიშვილმა, ქ. ნადეჟა არდიშვილისამ, შელაგია
ნ. ასულმა არდიშვილმა, ივლითი ი. ვამაძემ,
უმანგი მზე ძქმ და სხვთ.

უპორჩილესად გთხოვთ, მ. რედაქტორო,
თქვენი გაზეთის „მწყემსი“-ს საშუალებით უდრ-
ბესი მადლობა გამოუცხადოთ როგორც ჩემის
მხრით, აგრეთვე ჩემი მოწაფეების მხრით ბ.ნს
ნესტორ არდიშვილს და იმათ, ვინც ამ საქმის
ფული შეიკრეს და „იოლგების“ მოწყობაში
მონაწილეობა მიიღეს.

ჭიათურის საეკლესიო-სამრევლო სკოლის
მასწავლებელი ბესარიან ვამაძე.

II

მ. რ. უპორჩილესად გთხოვთ ნება გვიბო-
ძოთ, რომ თქვენის პატივცემული გაზეთის სა-
შუალებით გულისთადა მადლობა შევსწიროთ,
როგორც მე, აგრეთვე ჩემი მრევლის მაგიერ,
ჩემ მრევლთაგანს, იღ. ა. ბერძენიშვილს, რომ-
მელმაც შემოსწირა რწმუნებულის ჩემჯამო ბად-
დადის ფერისცვალების ეკლესიას ერთი სახა-
რება, ღირებული 25 მან.

მღვ. ი. ბონჩსკე.

„მწყემს“-ზე

ღ

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ქურნაღის ფასი:

12 თვით «მწყემსი» მ.მ. | 6 თვით «მწყემსი» 2მ.
— „რუსული“ „მ.მ. | — „რუსული“ „2“
— „ორივე გამოცემა“ | — „ორივე გამოცემა“

ზაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც
ფეარაღსაში, აგრეთვე ქუთაისსადაც. თბილისში
წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის
მალაზიაში, ბ. შო ქუთუცაშილითან. ფოთში — დეკა-
ნოზ მ. გრიგოლ მაკაროვთან; საჩხერაში — ყარაქან
ჩეიქესთან; სახადგასეში — დეკანოზ დ. სახუტოვთან;
სახლსენსეში — ბლაღოჩინ მამა არისტარქ კალანდარ-
შვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმო-
ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ. მ. ს. ე. თ. ა. დ.

რედაქციას აქვს ვანტარები: ქუთაისში ხანანაშვილ-
ბის სახლებში და ფეარაღსაში რედაქტორის საკუთარ
სახლებში.

ზარემ მცხოვრებთ ქურნაღის დაბარება შეუძლიათ
ამ აღრესით: Вь Квирилы, вь редакцію газеты и
журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიბოება წარსული წლების რამ-
დენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელ-
ნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

ტანვნი აღნიშნულნი დეკ. დ. ლაშაშვიძე.
ტე ბრძანებს: „Центральному, Тифлису, 14 Марта 1900 г.“

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.
1900 г. ♦ Цензоръ прот. Е. Елиевъ

„Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) вь Кутаись, вь д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул